აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№78 (25.102) შაბათი, 22 - 24 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, ღამ-ღამობით, მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 367 დევნილ ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული 409 ქონება, მათ შორის, საცხოვრებელი ბინები და როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. დევნილებისთვის გადასაცემი ქონება მდებარეობს თბილისში, ქუთაისში, დაბა ჩხოროწყუში, შიდა ქართლში, თელავში, მცხეთაში, ბორჯომში, ქვემო ქართლში, სამეგრელოში, იმერეთში, ბათუმსა და რაჭა-ლეჩხუმში.

* * *

„სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ქმნიან გამარჯვების პლატფორმას, რომელსაც წლების განმავლობაში ელოდებიან საქართველოს მოქალაქეები, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ენმ-ის თავმჯდომარესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე. „გამარჯვების პლატფორმაზე ვიკრიბებით გულანთებული, სამშობლოზე შეყვარებული პატრიოტები, ვისაც გვწამს, რომ საქართველო იქნება ერთიანი, ძლიერი და რეგიონის ლიდერი ქვეყანა, რომელიც სულ მალე გახდება ევროკავშირის და ნატოს წევრი“, - აღნიშნა მან. ლევან ხაბეიშვილის თქმით, ამიერიდან მათ ექნება „რუსული პარტიის დამარცხების საერთო სტრატეგია“.

* * *

გაერთიანება ნიშნავს საერთო სიის ფორმირებას, საერთო სიის ფორმირებას კი ჩვენ არ ვაპირებთ. არჩევნების შემდეგ ხალხი გადაწყვეტს, როგორი კონფიგურაციით იქნება პარლამენტი წარმოდგენილი, მაგრამ კოალიციას და კოაბიტაციას „ნაცებთან“ და „ქოცებთან“ არ ვაპირებთ არც არჩევნების შემდეგ, - განაცხადა პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა ბექა ლილუაშვილმა. მისი თქმით, „ყველა პარტიამ თავისი ამომრჩევლის გაზრდაზე უნდა იზრუნოს, რომ გაუნაწილებელი მანდატები არ დარჩეს, ამასთან, „ოცნებამ“ და „ნაციონალებმა“ ჯამში 50 პროცენტი ვერ აიღონ.

* * *

პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი ეკა ბესელია არ გამორიცხავს, რომ „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრებმა გაერთიანება შექმნან. „ვიცი, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არ და ვერ ვიქნები, დანარჩენი არ ვიცი, როგორი კონფიგურაცია იქნება. ბევრი ისეთი პოლიტიკოსია, რომელიც მახსოვს, იყო „ქართული ოცნების“ იდეასთან და ყველა, ვისაც ჰქონდა პრინციპები და საკუთარი შეხედულებები, წამოვიდა. შეიძლება ვიფიქროთ რაიმე ტიპის ალტერნატივაზე“, - აღნიშნა მან.

მოამზადა
ია შველიძემ

აჭარის 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტი 600 მლნ ლარს გადააჭარბებს

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

აჭარაში უკვე განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 1 მილიონ 200 ათასს აღემატება, - ამის შესახებ აჭარის მთავრობის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკვაძემ განაცხადა

თორნიკე რიუკვაძის თქმით, ტურისტების მსგავსი მასშტაბური რაოდენობა სრულად შეესაბამება სეზონის დასაწყისში არსებულ გეგმებსა და მოლოდინებს. „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა სამიზნე ქვეყნიდან გაზრდილია ტურისტული ნაკადები. საერთო ძალისხმევა, რომელიც აქამდე გავწიეთ და შრომა, რომელსაც ახლაც ვაგრძელებთ, აისახება კონკრეტულ შედეგებზე. მიმდინარე წარმატებული ტურისტული სეზონის ფონზე იზრდება რეგიონის ეკონომიკა. ასევე, მიმდინარე თვის შემოსულობები გასული თვის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით გაზრდილია 30%-ით, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას, მეტი პროექტი განვახორციელოთ და კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ რეგიონის მოსახლეობაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ყველა მიმდინარე პროექტს, რომელიც ახალ ტურისტულ ლოკაციებს შექმნის რეგიონში. კიდევ უფრო მეტი მიმოსვლა, საჰაერო რეისები დაემატება რეგიონს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს,“ - განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ აჭარაში სრულად აღდგა ტურიზმის დინამიკა. მზარდია ვიზიტიორთა ნაკადები და სტატისტიკა როგორც 2022 წელთან, ასევე, 2019 წელთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტიორების ვიზიტები 88%-ით არის გაზრდილი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. გაზრდილია ვიზიტების რაოდენობა სამიზნე ქვეყნებიდან: გერმანია 12.3%-ით, ისრაელი 25%-ით, ლატვია 241.4%-ით, ლიეტუვა 136%-ით, ყაზახეთი 98.7%-ით, ბრიტანეთი 41.2%-ით, საუდის არაბეთი 31%-ით, თურქეთი 51.1%-ით.

მიმდინარეობს რეგიონის პოპულარიზაცია სამიზნე ქვეყნებში. აქტიურად ჩაეშვა და მიმდინარეობს მარკეტინგული ონლაინკამპანიები 10 ქვეყანაში. გრძელდება რეისების განახლება და დამატება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში. 31 ივლისს განახლდება კვირაში 2 სიხშირით ფრენები ლიეტუვიდან. გაიზარდა შიდა ფრენების რაოდენობაც, რაც გაამარტივებს ბათუმთან წვდომას როგორ შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტიორებისთვის და, რაც მთავარია, კერძო სექტორს მისცემს საშუალებას, მათი სერვისები და ტურისტული პროდუქტები მოარგონ რეისებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კორექტირებული 2023 წლის ბიუჯეტი პირველად გადააჭარბებს 600 მლნ ლარს. რეგიონის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკვაძემ მთავრობის სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის ზრდის ტენდენციებზეც გაამახვილა ყურადღება.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, ბიუჯეტის ზრდა იმ ეკონომიკური დადებითი ტენდენციების, ტურიზმისა და ბიზნესის ნდობის და აქტივობის დამსახურებაა, რომელიც არის როგორც ქვეყანაში, ასევე რეგიონში. წინა წლებთან შედარებით, უკვე 2025 წლისთვის, რეგიონის რესპუბლიკური ნაერთი ბიუჯეტი არანაკლებ მილიარდი ლარი იქნება.

- მინდა აღვნიშნო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარვადგენთ კორექტირებულ 2023 წლის ბიუჯეტს და ის პირველად გადააჭარბებს 600 მლნ ლარს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ, პრაქტიკულად, გავაორმაგეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, რაც მოგვცემს საშუალებას, კიდევ უფრო მეტი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა განვახორციელოთ, კიდევ უფრო მეტი სკოლა ავაშენოთ, კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას დავუფინანსოთ სწავლა, კიდევ უფრო მეტი გზა დავაგოთ და, რაც ყველაზე მთავარია, კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ რეგიონის განვითარებასა და რეგიონის თითოეულ მცხოვრებზე, მათ კეთილდღეობაზე, - განაცხადა თორნიკე რიუკვაძემ.

აჭარის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირების ფარგლებში, 32 მლნ ლარზე მეტით იზრდება მუნიციპალიტეტზე გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა და შეადგენს 150 მლნ ლარს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მთავრობის სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კორექტირების შედეგად ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კუთხით დაფინანსებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა ბენეფიციარებს სრულად დაუფინანსდებათ. გაიზრდება გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება. ასევე, სრულად დაფინანსდება გაფანტული სკლეროზით, რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმით, ფსორიოზული ართრიტით დაავადებული პაციენტებისთვის საჭირო ძვირად ღირებული მედიკამენტები. ონკოლოგიურ პაციენტებს მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად გათვალისწინებული ტარიფის ფარგლებში. გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, გაიზრდება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საზღვაო აკადემიის სტუდენტების დაფინანსება. ასევე, იზრდება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საზღვაო აკადემიის სტუდენტების დაფინანსების ბიუჯეტი. ცვლილებების შედეგად იზრდება სპორტის დეპარტამენტის ბიუჯეტი და ასახული იქნება გაზრდილი ჯილდოები სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის.

აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ვითარდება სპორტული ინფრასტრუქტურა. ქედაში სასპორტო სკოლის მშენებლობა იწყება. პროექტი ითვალისწინებს საფეხბურთო კლუბ „ბეთლემის“ სათამაშო მოედნის რეაბილიტაციისა და საფეხბურთო სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობას.

ბათუმში თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლის მშენებლობა იწყება. პროექტში გათვალისწინებული იქნება 2 სატურნირო დარბაზი, 8 სამეცადინო ოთახი, ადმინისტრაციული, საკონფერენციო ოთახები, სპორტულ-ლიტერატურული სივრცე საჭადრაკო ბიბლიოთეკით.

ბათუმის ბიუჯეტი 23 200 000 ლარით გაიზარდა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ქალაქ ბათუმის საკრებულოში წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის თანახმად, ბათუმის ბიუჯეტი 23 მილონ 200 000 ლარით გაიზარდა და საერთო ჯამში 361 მილიონ 200 000 ლარით განისაზღვრა. საკრებულოს დეპუტატებმა ცვლილებებს 21 ივლისს გამართულ სხდომაზე დაუჭირეს მხარი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დრო დეპუტატების ინიციატივებს და შენიშვნებს დაეთმო, გაკეთდა არაერთი პოლიტიკური განცხადებაც, რასაც ურთიერთბრალდებები და სიტყვიერი დაპირისპირებები მოჰყვა. სხდომას ბათუმის მერი დაესწრო და ძირითადი შეკითხვებიც სწორედ არჩილ ჩიქოვანის მისამართით დაისვა. ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით, მერიის სტრუქტურებიდან მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას ვერ ახერხებენ, პრეტენზია გამოითქვა უნებართვო მშენებლობების, პარკირების პრობლემების, დღემდე დაუსრულებელი ღამის თავშესაფრის, ტურისტულ სეზონზე აღმოჩენილი ხარვეზების თაობაზე და დაწყებული პროექტების არაჯეროვნად მიმდინარეობაზე. სხდომაზე დასმულ ყველა შეკითხვას მერმა ამომწურავად უპასუხა, რის შემდეგაც დეპუტატები დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შეუდგნენ.

იხ. გვ-7 გვ.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

„მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში...

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით - „მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება“, გასული 6 თვის მონაცემებით, 180 მოქალაქე 229 845 ლარით დაფინანსდა

2023 წელს პროგრამის სრული ბიუჯეტი 471 025 ლარია და ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა არაუმეტეს 311 მოქალაქეს. პროგრამა მოიცავს: 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, თითოეულზე 1 000 ლარის ოდენობით, ბიუჯეტი 65 000 ლარს შეადგენს; ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - ტყუპისცალზე 1 000 ლარის ოდენობით, ბიუჯეტი - 150 000 ლარი; მზრუნველობამოკლებულ პირთა მატერიალური მხარდაჭერა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სრული რეინტეგრაცია, ბიუჯეტი - 104 025 ლარი; 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება - პროგრამის ფარგლებში, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მატერიალური დახმარება გაეწია დედებსა და მეუღლეებს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა მეომრების ოჯახებს, თითოეულს - 3 000 ლარის ოდენობით, ბიუჯეტი - 112 000 ლარი; ერთ წლამდე ასაკის ბავშვის შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და შშმ სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2 000 ლარის ოდენობით, ბიუჯეტი - 40 000 ლარი.

ბსუ-ის საველე არქეოლოგიური პრაქტიკის სასწავლო კურსი

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

ბსუ-ის ისტორიის სპეციალობის II კურსის სტუდენტებმა სასწავლო კურსს „საველე არქეოლოგიური პრაქტიკის“ ფარგლებში, მონაწილეობა მიიღეს გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე წარმოებული, არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, ასევე, მოინახულეს პეტრა-ციხისძირისა და ქობულეთ-ფიჭვნარში მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები

საველე არქეოლოგიური პრაქტიკის სასწავლო კურსის მიზანი არქეოლოგიაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, კერძოდ, გათხრების დაგეგმვის, ორგანიზების, საველე და კამერალური სამუშაოების განხორციელების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-სრულყოფა წარმოადგენდა.

პრაქტიკის ფარგლებში, სტუდენტებმა მიიღეს სრულფასოვანი მონაწილეობა საველე და კამერალურ სამუშაოებში. მათი ჩართულობით მოხდა არქეოლოგიური გათხრების წარმოება, დღიურის შედგენა, მასალის ფოტოფიქსაცია, მოპოვებული მასალების კამერალური დამუშავება და პასპორტიზაცია.

არქეოლოგიური გათხრები უნივერსიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა.

„არაფორმალური განათლების ხელშეწყობა – ადგილობრივ ახალგაზრდებში“

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

დასრულდა პროექტი „არაფორმალური განათლების ხელშეწყობა ადგილობრივ ახალგაზრდებში“, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით მიმდინარეობდა

პროექტი ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ითვალისწინებდა ტრენინგ-სემინარებს შემდეგი მიმართულებებით: „კიბერსივრცისა და კიბერუსაფრთხოების არსი, გამოწვევები და შესაძლებლობები“: „ევროატლანტიკური პროცესის მნიშვნელობა და პერსპექტივები“; „კომუნიკაციების სტრატეგიები და გამოწვევები მედიაწიგნიერების კონტექსტში“.

ტრენინგის აქტიური და წარმატებული მსმენელებისათვის დაგეგმილია საინფორმაციო-გაცნობითი ტური კურორტ ბეშუმში, გოდერძის ალპურ ბოტანიკურ ბაღსა და მწვანე ტბაზე.

„შაშვი, შაშვი, მაყვალი“ სარაევოს 29-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაშია

სარაევოს 29-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში სათაურშივე აღნიშნული ქართული მხატვრული ფილმის გარდა კიდევ ორი ქართული ფილმი მონაწილეობს!

ელენე ნავერიანის ფილმში „შაშვი, შაშვი, მაყვალი“, რომელსაც მხატვრული ფილმების საკონკურსო პროგრამაში ნახავს სარაევოს კინოფესტივალის მაყურებელი, ქალის, ეთეროს, მთავარ როლს ბათუმელი მსახიობი ეკა ჩავლეიშვილი ასრულებს. მოგეხსენებათ, ეს ფილმი კანის საერთაშორისო კინოფესტივალის დამოუკიდებელ საკონკურსო სექციაშიც აჩვენეს. ვფიქრობთ, ეს საინტერესო კინონაწარმოები კიდევ ბევრი კინოფესტივალის და არაერთი ჯილდოს მფლობელი გახდება.

„შაშვი, შაშვი, მაყვალისთან" ერთად სარაევოს ფესტივალზე დოკუმენტური ფილმების საკონკურსო პროგრამაში აჩვენებენ ანა ძიაპშიპას „ავტოპორტრეტი ზღვარზე“ და გიორგი ფარქოსაძის „რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს“. წარმატებები ვუსურვოთ ქართულ ფილმებს!

სარაევოს კინოფესტივალი 1995 წლის ოქტომბერში, სარაევოს ალყის დროს დაარსდა. მისი მიზანი სარაევოს მულტიკულტურული და ტოლერანტული გარემოს აღდგენა და შენარჩუნება იყო. ალყისა და მძიმე ზოგადი ფონის გამო ორგანიზატორები დამსწრეთა მცირე რაოდენობას ელოდნენ, მაგრამ მათდა გასაკვირად, ორკვირიან ფესტივალს 15 ათასამდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნიდან. მას შემდეგ ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება.

მარი მიდასელი

ამბები

„ეტალონის“ გამარჯვებული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის XI კლასის მოსწავლე მამუკა ცინცაძე, საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ 2023 წლის გამარჯვებულია. შუახევის მუნიციპალიტეტს მედიაპროექტ „ეტალონის“ ორგანიზატორი გოჩა ტყეშელაშვილი სტუმრობდა. მან და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მამუკა ცინცაძე, მისი მასწავლებლები, მამუკას მშობლები მერიაში მიიპატიჟეს. მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, გოჩა ტყეშელაშვილმა, მამუკას კლასის ხელმძღვანელმა ირა აბულაძემ, გეოგრაფიის მასწავლებელმა დავით სამნიძემ, შუახევის რესურსცენტრის წარმომადგენელმა ვლადიმერ თავდგირიძემ, მამუკას მშობლიური სოფელ ჯალაბაშვილების საჯარო სკოლის პედაგოგმა მანანა ხუჯაძემ „ეტალონის“ გამარჯვებულს წარმატება მიულოცეს და ბედნიერი მომავალი უსურვეს.

გოჩა ტყეშელაშვილმა საგანმანათლებლო პროექტში გამარჯვებულს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელით, 1000-ლარიანი ვაუჩერი და დიპლომი გადასცა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების სახელით, ომარ ტაკიძემ მამუკა ცინცაძე 200-ლარიანი ვაუჩერით დააsაჩუქრა. მამუკას დედა ნატალია დავითაძემ, მამა - ეგნატე ცინცაძემ მამუკას ცოდნის შემფასებლებს მადლობა გადაუხადეს.

- მადლობა დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორებს, - თქვა მამუკამ, - შრომას, სწავლას შედეგი რომ მოაქვს, ნათლად დავრწმუნდი. ჩემი ცხოვრების დიდ გზაზე პირველი წარმატება მოვიპოვე. იმედია, კიდევ მრავალს მივაღწევ.

პროექტის მეორე ეტაპი

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში ასოციაცია „შავი ზღვის ეკო აკადემიის“ ორგანიზებით, პროექტის „ეკო კორიდორების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. პროექტის კოორდინატორმა ირაკლი გოგოლაძემ, ფასილიტატორებმა გულო სურმანიძემ, ვახტანგ კონცელიძემ, მობილიზატორმა მანანა ქარცივაძემ დამსწრეთ გააცნეს ის მიზნები და ამოცანები, რასაც პროექტი ითვალისწინებს. აღნიშნეს, რომ მას ახხორციელებს **WWF**-ის კავკასიის პროგრამის ოფისი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს **(BMZ)** ფინანსური დახმარებით, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის **(KFW)** მეშვეობით. პროექტის საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფენ კომპანია **„GOPA Consultants“**-სა და **„DFS“**-ის კონსორციუმი.

აჭარაში, კერძოდ, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში, პროექტის მეორე ფაზის ადგილობრივი პარტნიორია ასოციაცია „შავი ზღვის ეკო აკადემია“.

რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალზე?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

30 წელია უკრაინა დამოუკიდებლობის გზას ადგას. ეს გზა რთული და წინააღმდეგობით სავსე. ამ ხნის განმავლობაში უკრაინული სახელმწიფო რუსეთის მხრიდან ბევრ დაბრკოლებას აწყდება

ეს ქვეყანა დროდადრო სეპარატიზმს აღვივებდა, მეხუთე კოლონას ქმნიდა, ეკონომიკურ სანქციებს უწესებდა, რამაც სასურველი შედეგი არ მოუტანა. ყირიმის ანექსიამაც ვერ გატეხა უკრაინელები და ახლა მსოფლიო რუსეთსა და უკრაინას შორის ცივილიზაციური ომის მომსწრე გახდა...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინაში მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს რუსეთსა და ცივილიზებულ მსოფლიოს შორის. ამიტომ ძნელია იმის თქმა, როგორი იქნება მსოფლიო თუნდაც ათი ან ოცი წლის შემდეგ, არც ის ვიცით, მსოფლიოს გადანაწილებას რომელი სახელმწიფოები შეეწირება და ვინ ისარგებლებს ამ ყველაფრით. ცხადია, სანამ პლანეტა იარსებებს, იქნება აგრესორიც და მისი მსხვერპლი ქვეყანაც.

ზესახელმწიფოების მიზანი ადრეც და ახლაც გავლენის სფეროების მოპოვებაა, მაგრამ 21-ე საუკუნეში მსოფლიო აღარ შეეგუება საერთაშორისო ნორმების დარღვევას, მით უმეტეს სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ. რუსეთ-უკრაინის ომი წელიწადნახევარია მიმდინარეობს და უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნის გაკეთება. ამ ქვეყანამ შეძლო არა მხოლოდ გამკლავებოდა რუსეთის არმიას, არამედ კონტრშეტევაზეც გადასულიყო. ბელგოროდში პროუკრაინული ძალების რეიდი ამის მკაფიო მაგალითია. ამ რეიდს ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო მნიშვნელობა. ასეთი თავდასხმები ძალიან მომგებიანია, რადგან ამ ლოკალურმა ინციდენტმა რუსეთს აგრძნობინა, რომ უსაფრთხოდ ვერ იქნება და რაც დრო გავა, მასზე თავდასხმები მოიმატებს. უკრაინულმა არმიამ გამოფიტა რუსული არმია ბახმუტში. ახლა წარმატებულ სამხედრო ოპერაციას უკრაინელი სამხედროები დონეცკის რეგიონში და ყირიმის ახლოს ახორციელებენ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი დასავლეთს შეაქვს. ამ ომმა ბევრ რამეს ახადა ფარდა, მაგალითად, ევროპის ერთიანობა წარმოაჩინა, ვხედავთ როგორი თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა უკრაინას...

ახლა თითქმის ყველა დასავლელი ლიდერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი ამ ომში მარცხდება. „რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ომში გეოპოლიტიკურად უკვე წაგებულია, ის ახლა გადაიქცევა ჩინეთის ვასალ სახელმწიფოდ“, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა. ექსპერტთა აზრით, დასავლეთის ამოცანა მარტივია - რუსეთი არა მხოლოდ ბრძოლის ველზე უნდა დამარცხდეს, არამედ პოლიტიკურადაც და ეს ყველა ავტორიტარული რეჟიმისთვის იყოს გაკვეთილი, რათა აღარავის მოუნდეს აგრესიის წამოწყება. სამწუხაროდ, ეს ომი შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. იგი ახლა ისეთ ფაზაშია, არცერთ მხარეს არ აქვს უკან დახევისა და მანევრირების საშუალება. პუტინმა იცის, უკან რომ დაიხიოს, ეს კატასტროფით დამთავრდება მისთვის, მას მოიშორებენ, რუსეთში დამარცხებული ლიდერი არ უყვართ, ან კლავენ, ანდა ძალაუფლებას ართმევენ. ვერც უკრაინა დაიხევს უკან, ომის შეჩერება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის გარეშე ამ ქვეყნის დაშლას გამოიწვევს. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული უკრაინულ სამხედრო ელიტას. რუსეთი ცდილობს ომის გაყინვას, რათა დრო მოიგოს, რაც საშუალებას მისცემს, გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა გამოასწოროს, ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომი ამის თვალსაჩინო მაგალითია...

რუსეთის ნდობა რომ არ შეიძლება, უკრაინელებმა ყველაზე კარგად იციან. კრემლი ძალიან უფრთხის უკრაინის კონტრშეტევას. თუ უკრაინელებმა შეძლეს თუნდაც მეტოლიტოპოლის, მარიუპოლის ანდა ყირიმის აღება, ეს, პრაქტიკულად, რუსეთის მარცხს ნიშნავს. ასეთი კონტრშეტევა ხორციელდება, რასაც დასავლეთი იმედით შეჰყურებს. არადა, ერთი წლის წინ რუსეთი (და დასავლეთიც) არ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. ალბათ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. ყველა ფაქტობრივი მონაცემი არსებობს, რომ რუსეთს ინვენტარი, სიმბოლიკა ჰქონდა ჩატანილი უკრაინაში, ანუ მოსკოვს 1945 წლის 9 მაისს გამარჯვების აღლუმის ჩატარება კიევში ჰქონდა დაგეგმილი. უკრაინული არმიის ძალისხმევით კრემლს ეს განზრახვა ჩაუფლავდა. ცხადია, რუსეთი ასეთ გაჭიანურებულ კონფლიქტს არ ელოდა. მისი ჩანაფიქრით ბლიცკრიკით უნდა გაევლო უკრაინა, ორ დღეში აეღო კიევი და დაესვა მარიონეტული ხელისუფლება უკრაინაში, ანდა ეს ქვეყანა ორ ნაწილად დაეყო და დასავლეთთან ევაჭრა. სწორედ ამის შესახებ საუბრობს უკრაინის შეიარაღებული ძალების დაზვერვის ხელმძღვანელი ბუდანოვი: „პუტინს კიევის სწრაფად დაპყრობის მხოლოდ ერთი გეგმა ჰქონდა და ის ითვალისწინებდა კიევიდან 30 კილომეტრში მდებარე გოსტომელის აეროდრომის აღებას და იქ რუსი მედესანტეების დაშვებას, რის შემდეგაც მათ კიევის ცენტრისკენ უნდა შეეტიათ“...

ეს გეგმა კრემლს სისრულეში რომ მოეყვანა, ცხადია, უკრაინას ძალიან გაუჭირდებოდა სუვერენიტეტის შენარჩუნება.

სხვათა შორის, ომის პერიოდში ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის სადაზვერვო სტრუქტურებს, მოპოვებული ჰქონდათ გოსტომელის აეროდრომის აღებისა და მედესანტეების საშუალებით კიევის სწრაფი დაპყრობის პუტინის საიდუმლო გეგმა, რაც უკრაინის უმაღლეს ხელისუფლებას რუსეთის თავდასხმამდე გაუზიარეს. კრემლი, ასევე, არ ელოდა მძლავრ ეკონომიკურ სანქციებს, რაც დასავლეთმა განახორციელა. ექსპერტთა აზრით, სანქციები უფრო გრძელვადიან პერიოდში იქნება ეფექტური, თუმცა მოკლევადიან პერიოდშიც კი გარკვეული ზიანი მიადგა რუსეთის ეკონომიკას - ევროპულმა კომპანიებმა დატოვეს რუსეთის ბაზარი, გარდა ამისა, რუსეთის გასაღების ბაზარი შემცირდა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსული ეკონომიკის რღვევა დაწყებულია, თუმცა მისი დამარცხებისთვის მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. ანალიტიკოსთა თქმით, სანქციები დაახლოებით კიდევ ერთი წელი თუ გაგრძელდება, რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშლება...

ამ ქვეყანამ დაარღვია მარცვლეულის შეთანხმება თურქეთთან და უკრაინასთან. როგორც ცნობილია უკრაინა მარცვლეულის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში. ამ შეთანხმების ჩაშლით კრემლი ცდილობს, ძირითადად აფრიკაში, ეკონომიკური დივერსია განახორციელოს, მიზანი - მსოფლიოში სასურსათო ქაოსის შექმნა, რაც გამოიწვევს აფრიკიდან მილიონობით ლტოლვილის გადინებას ევროპაში, რათა დასავლეთი დააზარალოს, ანუ კრემლს სურს უკრაინის მხარდაჭერისთვის აშშ და ევროკავშირი დასაჯოს.

ამ მიმართებით მთავარია, დასავლეთი იყოს ერთიანი და სეპარატისტულ მოლაპარაკებებში არ შევიდეს პუტინთან. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს ამის იმედი აქვს. „დარწმუნებული ვარ, ერთად მივიღებთ უფრო სამართლიან, მრავალპოლუსიან სამყაროს,“ - ამბობს პუტინი.

რას გულისხმობს რეალურად პუტინისეული მრავალპოლუსიანი სამყარო? ექსპერტთა თქმით, ესაა გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიო, გარშემორტყმული ეკლიანი მავთულებით, ბლოკპოსტებითა და სათვალთვალო პუნქტებით, როგორც ცივი ომის დროს, როდესაც აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა მთელი მსოფლიო გადაინაწილეს გავლენის სფეროებად, მაგრამ ახლა, როგორც აღვნიშნეთ, 21-ე საუკუნეა. დასავლეთმა გააცნობიერა რუსეთის რეალური განზრახვა ახალი იმპერიის აღორძინების შესახებ, ანუ თუ აგრესიას შეეგუება, უარეს შედეგს მიიღებს, ამიტომაც ეხმარება დასავლეთი უკრაინას სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში და ყველაფერს აკეთებს, რომ რუსეთთან ომში მოიგოს.

> ***„რას გულისხმობს რეალურად პუტინისეული მრავალპოლუსიანი სამყარო? ექსპერტთა თქმით, ესაა გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიო, გარშემორტყმული ეკლიანი მავთულებით, ბლოკპოსტებითა და სათვალთვალო პუნქტებით, როგორც ცივი ომის დროს, როდესაც აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა მთელი მსოფლიო გადაინაწილეს გავლენის სფეროებად, მაგრამ ახლა, როგორც აღვნიშნეთ, 21-ე საუკუნეა***

უდავოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომს ეპოქალური გავლენა ექნება ევროპაზე და მით უმეტეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალზე. თუ უკრაინა დამარცხდა ამ ომში, ეს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და შუა აზიის ქვეყნები) ძალიან დიდი რისკის ქვეშ დააყენებს, მათი განვითარება კიდევ უფრო შეფერხდება, ხოლო თუ უკრაინა მოიგებს (რაც ძალიან რეალურია), ეს ყველა ჩამოთვლილი რესპუბლიკისთვის მომგებიანია, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, დააჩქარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას, ეს კი ჩვენი სანუკვარი მიზანია.

რთველის სუბსიდირება წელსაც გაგრძელდება



მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში მიმდინარე წლის რთველის მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა და კონკრეტული ნაბიჯები დაიგეგმა.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ მიღებული გადაწყვეტილებით, რთველის სუბსიდირება წელსაც გაგრძელდება - სახელმწიფო ყურძენს 20 თეთრით დააასუბსიდირებს და 1 კგ თეთრი ყურძნის ფასი, სულ ცოტა, 90 თეთრი იქნება.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ღვინის ექსპორტი იზრდება, შარშან 30%-მდე ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა და წელსაც - 6 თვეში ძალიან მაღალი ზრდა გვაქვს. შარშან მსოფლიოს 66 ქვეყანაში ექსპორტირებულია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის - 103 მილიონი ლიტრი (252 მლნ დოლარის ღირებულების) ღვინო. მინისტრის თქმით, ღვინის ექსპორტთან ერთად იზრდება მოთხოვნა ხარისხიან ყურძენზეც. კლიმატური პირობების გამო, მოსალოდნელია, რომ წელს ყურძნის მოსავლის ნაწილი არასათანადო ხარისხის იყოს. მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კომპანიები დაზიანებულ ყურძენსაც მიიღებენ და ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილი, თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან მუხუზლა, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და კახეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი ესწრებოდნენ“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან ბურიელიძე

უცხოეთი

პუტინი მარცვლეულის ინიციატივიდან გასვლით მსოფლიოში ხელოვნურ შიმშილს ქმნის და კარგ შემოსავალს იღებს, - განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ ბორელმა. მისი თქმით, რუსეთი კარგ შემოსავალს იღებს საკუთარი მარცვლეულისა და მინერალური სასუქის ექსპორტით. და კიდევ უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს ახლა, როდესაც ფასები გაიზრდება მას შემდეგ, რაც მარცვლეულის ინიციატივა მოკლა და უკრაინულ პორტში ინფრასტრუქტურა გაანადგურა. „მივიჩნევთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მტკიცე რეაგირება უნდა მოახდინოს პუტინის ამ მიზანმიმართულ მცდელობებზე, მსოფლიოს ხალხებს შიმშილი მოუტანოს“, - განაცხადა ბორელმა.

* * *

ბულგარეთს, უნგრეთს, პოლონეთს, რუმინეთსა და სლოვაკეთს სურთ, ევროკავშირმა უკრაინული მარცვლეულის იმპორტზე დაწესებული აკრძალვა მინიმუმ წლის ბოლომდე გაახანგრძლივოს. პოლონეთი საზღვრების დახურვით იმუქრება, თუკი ბრიუსელი წინადადებას არ დასთანხმდება. ევროკავშირმა მაისში ნება დართო ბულგარეთს, უნგრეთს, პოლონეთს, რუმინეთსა და სლოვაკეთს, აეკრძალათ უკრაინული ხორბლის, სიმინდის, რაფსის და მზესუმზირის თესლის შიდა გაყიდვები, და ამავდროულად დაუშვა ასეთი ტვირთების ტრანზიტი სხვა ქვეყნებში ექსპორტისთვის. აკრძალვის ვადა 15 სექტემბერს იწურება.

* * *

პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა, „ვაგნერის“ დაჯგუფების ბელარუსში დაგეგმილ წვრთნებთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხის გამო, ჯარების ქვეყნის დასავლეთ ნაწილიდან აღმოსავლეთ ნაწილში გადაყვანის განკარგულება გასცა. „წვრთნები, ან ბელარუსის არმიასთან ერთობლივი წვრთნები, უდავოდ პროვოკაციაა,“ - განაცხადა პოლონეთის უშიშროების კომიტეტის მდივანმა ზბიგნევ გოფმანმა. მისივე თქმით, სამხედრო ფორმირებების დასავლეთიდან პოლონეთის აღმოსავლეთით გადაყვანის მიზანი პოტენციური აგრესორის შეკავებაა. შეგახსენებთ, ამ დღეებში ბელარუსის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ პოლონეთის მახლობლად მდებარე სასწავლო პოლიგონზე „ვაგნერის“ დაქირავებული ჯარისკაცებისა და ბელარუსი სპეცრაზმელების ერთობლივი წვრთნები გაიმართება.

* * *

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, ბოლო 15 წლის განმავლობაში პირველად, ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვევა და პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდება. გავრცელებული ცნობით, ნეთანიაჰუ თურქეთში 28 ივლისს გაემგზავრება, 25 ივლისს კი ერდოღანი პალესტინის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასს უმასპინძლებს. ისრაელის პრემიერ-მინისტრი თურქეთში ბოლოს 2008 წელს იმყოფებოდა.

* * *

უნგრეთს უკრაინის შეიარაღებული ძალების დასახმარებლად 20 მილიარდი ევროს ღირებულების ფონდის შექმნა არ სურს. ოფიციალური ბუდაპეშტი ფონდის შექმნას იქამდე შეეწინააღმდეგება, ვიდრე კიევი უნგრულ ბანკს „ომის სპონსორების“ სიიდან არ ამოიღებს. ფონდი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში წლიურად ითვალისწინებს 5 მილიარდი ევროს გამოყოფას ევროკავშირის ქვეყნების მიერ უკრაინისთვის იარაღის ხარჯების დასაფარავად.

მოამზადა
ია შველიძემ

როგორი შეფასებები მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ განცხადებას ამ პარტიების გაერთიანების თაობაზე

როგორც ცნობილია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ პოლიტიკური გაერთიანების შესახებ განცხადება გააკეთეს. პარტიების ლიდერებმა - ლევან ხაბეიშვილმა და გიორგი ვაშაძემ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ბრძოლას საერთო სტრატეგიით გააგრძელებენ. მათივე თქმით, პროდასავლური პარტიების ფლანგზე ქმნიან „გამარჯვების პლატფორმას“ და მისი კარი ყველასთვის ღიაა

ბუნებრივია, ამ წინასაარჩევნო გადაწყვეტილებას განსხვავებული გამოხმაურება მოჰყვა როგორც მმართველი გუნდისა და ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებისგან, ისე პოლიტოლოგებისგან.

- ოპოზიციური გაერთიანების ლიდერად ისეთ პოლიტიკოსს რომ

ირჩევენ, ვისაც ოპოზიციურ მიტინგზეც კი მიკროფონი წაართვეს და ტრიბუნიდან ჩამოაგდეს, გასაგებია, როგორი კრიზისი აქვთ პარტიაში, - ასე ეხმაურება უმრავლესობის დეპუტატი **ბურამ მაჭარაშვილი** „ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ გაერთიანებას.

მაჭარაშვილის თქმით, გიორგი ვაშაძე მიხვდა, რომ მისი პარტია ვერანაირ საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს, ამიტომ საკუთარი პარტიიდან გავიდა და „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიაში ჩაწერას ცდილობს. მაჭარაშვილმა აღნიშნა ისიც, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში 36 დეპუტატით შევიდა, მაგრამ ახლა 20 დეპუტატით არის წარმოდგენილი და პარლამენტის უფლებამოსილების დასრულებამდე შეიძლება 10 წევრიც აღარ დარჩეს.

- საზოგადოებამ ასეთი „გაერთიანებები“ ოპოზიციურ სპექტრში არაერთხელ იხილა. რამდენიმე თვის წინ იყო ეგრეთ წოდებული ტროიკის - ვაშაძე-ხოშტარია-ზურაბ ჯაფარიძის გაერთიანება. საზოგადოებას არც კი ახსოვს, როგორ გაერთიანდნენ და მერე როგორ დაიშალნენ, ამიტომ ასეთი გაერთიანებები მარცხისთვის არის განწირული, - განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

- „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გაერთიანება მოულოდნელობა არავისთვის იყო. იგულისხმებოდა, რომ ეს ორი პარტია ისედაც ერთი ხაზის მიმდევრები არიან, ვნახეთ ისიც, რომ თვითონ ოპოზიციურ პარტიებშიც მათ გვერდით დამდგომი ბევრი არავინაა - შედეგი არის „ნაციონალური სტრატეგია აღმაშენებელი“, - ასე შეაფასა პოლიტოლოგმა **რამაზ საყვარელიძემ** „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გაერთიანება. როგორც აღნიშნა, ძნელი სათქმელია, ეს გაერთიანება მათი ამომრჩევლების გაერთიანებასაც გამოიწვევს თუ არა, რადგან, როგორც რამაზ საყვარელიძე ამბობს, პოლიტიკაში ასე არ ხდება. ამასთან, პოლიტოლოგმა აღნიშნა, რომ ქართული პარტიები საკუთარი ამომრჩევლის ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებენ.

- ამომრჩევლების გაერთიანება იქნება თუ არა, ეგ ძნელი სათქმელია. როგორც წესი, ასე ცალსახად ლიდერები ერთმანეთს ჩაეხუტნენ და ამომრჩევლებიც ჩაეხუტნენ - პოლიტიკაში არ ხდება. ვიღაცას მოსწონს ხაბეიშვილი, არ მოსწონს ვაშაძე ან პირიქით. ასე რომ, რა მოხდება, კაცმა არ იცის. რომ გითხრათ, ამომრჩევლებს ითვალისწინებენ და ისე მოქმედებენ ქართული პარტიები, მაგ პოზიციაზე არ ვარ, რადგან ძალიან ხშირად დგამენ ნაბიჯს, რომელიც ამომრჩევლის ინტერესს არ ითვალისწინებს. ეს გაერთიანებაც ახლა ამბობს, რომ ჩვენი მიზანია, ივანიშვილი გადავაგდოთო. ჰკითხეს ამომრჩევლებს, უნდათ თუ არა ივანიშვილის გადაგდება და მათი მოყვანა? მგონი, არ უკითხავთ - ყველა არჩევნებით და ყველა გამოკვლევით, ივანიშვილის პარტია ამომრჩევლებში უფრო დიდი სიმპათიებით სარგებლობს, ვიდრე ეს ორი პარტია. თუკი პარტიას უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, მას მთელი მოსახლეობის პოზიცია უნდა აინტერესებდეს და არა მარტო თავისი ამომრჩევლის, თორემ თავისი ამომრჩეველი, მინიმუმ საკუთარი ოჯახის წევრები, ყველას ეყოლება, მაშინ გამოჰკითხოს ოჯახი და მიიღებს იმ შედეგს, რაც უნდა, - განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

- ეს არის ორი პარტიის ურთიერთსასარგებლო ნაბიჯი, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს „ქართული ოცნების“ დამარცხებასთან - „ნაციონალური მოძრაობა“ კრიზისშია იმით, რომ არ ჰყავს მოლაპარაკე თავები და ამ ფონზე,

ვაშაძე, რომელიც თავისი გამართული, ლოგიკური, დამაჯერებელი რიტორიკით გამოირჩევა, სერიოზული ინტელექტუალური შენაძენია ენმ-სთვის, - განაცხადა პოლიტოლოგმა **პაატა ზაქარეიშვილმა** „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ გაერთიანებასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, არც გიორგი ვაშაძეს მიუღია არასწორი გადაწყვეტილება, რადგან მისი პარტია დამოუკიდებლად 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავდა.

- პრაქტიკულად, დიდი ხანია, „ნაციონალური მოძრაობიდან“ ყველა ინტელექტუალური ძალა გავიდა. მას მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის რეპუტაცია და ავტორიტეტი შერჩა, სხვა არაფერი. აშკარად ჩანს, რომ ხაბეიშვილმა მოახდინა დისკრედიტაცია. ლაპარაკი არ შეუძლია, ვერ გაიგებ, რა უნდა. მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახის - „რუსული ოცნება“, „რუსული ოცნება“. გავიგეთ „რუსული ოცნება“, მაგრამ თვითონ ვინ არიან, „ნაციონალური მოძრაობა“ რა არის, არ ჩანს. რას სთავაზობენ საზოგადოებას, როგორ აპირებენ სიღარიბის, გეოპოლიტიკური გამოწვევების დაძლევას, არაფერზე არ ლაპარაკობს ხაბეიშვილი. ამ ფონზე, ბუნებრივია, ვაშაძე გამოირჩევა თავისი გამართული, ლოგიკური, დამაჯერებელი რიტორიკით და შესაბამისად, სერიოზული ინტელექტუალური შენაძენია „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რა თქმა უნდა, ცალსახად და მკაფიოდ. „ნაციონალურ მოძრაობას“ ამით მიემატა უბრალოდ, მოლაპარაკე თავი, რომელიც ილაპარაკებს უფრო ხშირად ენმ-ის სახელით. ეს, რა თქმა უნდა, გამოადგება „ნაციონალურ მოძრაობას“ და ასევე დადებითია ვაშაძისთვისაც, რომელიც არჩევნებში მარტო თავისი პარტიით ვერ გადალახავდა 5%-იან ბარიერს, ვერც იმ გაერთიანებით, რაც იყო ზურაბ ჯაფარიძესა და ელენე ხოშტარიასთან ერთად, ამიტომ მან მიიღო სწორი გადაწყვეტილება. მისი რამდენიმე თანაგუნდელი ალბათ, მოხვდება წამყვან სიაში და პარლამენტში. ეს გაერთიანება, ნამდვილად, ორი პარტიის ურთიერთსასარგებლო ნაბიჯია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო გამარჯვებასთან და „ქართული ოცნების“ დამარცხებასთან. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ შიდა გაძლიერებისთვის მიმართული ისე, რომ ვაშაძის პარტიაც „სტრატეგია აღმაშენებელი“ გაძლიერდა. ცუდი არ არის, კარგია, მაგრამ ეს არაა გამარჯვების ფორმულა ნამდვილად. ამაში დარწმუნებული ვარ, - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ამასთან, როგორც პოლიტოლოგი აღნიშნავს, თუ აღნიშნული ოპოზიციური პარტიების გაერთიანების გარდა, კიდევ შეიქმნება 2-3 ცენტრი, რომელიც 5%-იან ბარიერს გადალახავს, ეს იქნება „ქართული ოცნების“ დამარცხებისკენ წარმატებით გადადგმული ნაბიჯი.

ზაქარეიშვილის შეფასებით, „2024 წლის არჩევნებშიც „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა, მაგრამ ეს არ იქნება წარმატება თუ იმდენივე რაოდენობის ხმებს ჯამურად, პარლამენტში შესული 5%- გადალახული ოპოზიციური ძალები აიღებს“.

- ენმ-ისა და „სტრატეგია აღმაშენებელის“ განცხადება „გამარჯვების პლატფორმის“ შექმნაზე მხოლოდ მარკეტინგული ჩანაფიქრია. თვითონაც კარგად ხვდებიან, რომ „დამარცხების პლატფორმის“ სახ-

ელს უფრო სამართლიანად აიტანდა ეს გაერთიანება. რეალური პერსპექტივა რომ მარცხის აქვთ, ეს ფაქტია, - აცხადებს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ სარჯველაძე.** მისი შეფასებით, არითმეტიკულად მხარდაჭერა არ ჯამდება პარტიათა გაერთიანებით, პირიქით, ამან შეიძლება მხარდაჭერა შეამციროს, რადგან ერთი პარტიის ელექტორატს შესაძლოა, მეორე პარტიის მიმართ ჰქონდეს მიუღებლობა.

გარდა ამისა, როგორც სარჯველაძე აცხადებს, „სტრატეგია აღმაშენებელს“ ეს ერთობა ბარიერის გადალახვის მიზნით სჭირდება, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ რა შეიძლება მოეგო, ამას ვერავინ ხვდება.

- ეს არ იყო გადაწყვეტილება, სადამდეც ეს ორი პოლიტიკური პარტია კარგი ცხოვრების გამო მივიდა. ყველას აქვს თავისი პრობლემები და მათი გადაჭრის ხერხი უფროა ეს, რომელზეც სამწუხაროდ, ღიად ვერ საუბრობენ, მაგრამ საზოგადოება ამას ხედავს. „სტრატეგია აღმაშენებლის“ შემთხვევაში პრობლემა იმაშია, რომ არჩევნებისთვის არავითარი პერსპექტივა არ აქვს, დამოუკიდებლად მოიპოვოს საზოგადოების იმ ზომის მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს მის პოლიტიკაში ყოფნას. ამიტომ ბარიერის გადალახვის პრობლემის მქონე ეს პოლიტიკური პარტია გადაწყვეტილებას იღებს, მიეკედლოს ვინმე სხვას, უფრო დიდს და ამ გზით გავიდეს „სამშვიდობოს“. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, აშკარად ჩანს, რომ პარტიის შიგნით დაპირისპირებული ფლანგებისთვის ახლა აქტუალურია გაძლიერება. ამიტომ შეიძლება ხაბეიშვილი თვლიდეს, რომ მისი ფლანგის მხარდამჭერად ვაშაძისნაირი პოლიტიკოსის მიმატება შეიძლება კარგი ვარიანტი იყოს, ან შეიძლება ეს სულაც არ იყოს ხაბეიშვილის ვერსია. ყოველ შემთხვევაში, რა შეიძლება მოეგო „ნაციონალურ მოძრაობას“, ამას ვერავინ ხვდება. მათი ბრიფინგიდან გამოჩნდა კონფლიქტის პირველი ნიშნები ოპოზიციის დარჩენილ ნაწილთან, რადგან ღიად გამოცხადდა, „სტრატეგია აღმაშენებელი“ „ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ ოპოზიციის ყველაზე დიდი პოლიტიკური გაერთიანება არისო და არ მგონია, ამ განცხადებას მშვიდად შეხვდნენ სხვა პარტიები, მათ შორის, ისინი, რომლებიც დღეს პარლამენტში საქმიანობენ და ვფიქრობ, სამართლიანად შეიძლება ჰქონდეთ ამბიციაც და პრეტენზიაც, - განაცხადა სარჯველაძემ.

- მიგვაჩნია, რომ იმედით მომლოდინე ის ხალხი, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ იმედები გაუცრუა და ვერც „ნაცმოძრაობამ“ აღძრა მათში მოწიწება, ჩვენი ამომ-

რჩევლები უნდა გახდნენ და ისინი „პროქოცური“ გაერთიანებისთვის არ გვემეტება, - ამის შესახებ „გირჩის“ დეპუტატმა **იაგო ხვიჩიამ** განაცხადა, რითაც ეკა ბესელიას განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც არ გამორიცხა, რომ „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრებმა ახალი პოლიტიკური გაერთიანება შექმნან.

მისივე თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ ხმები რეალურად უნდა დაკარგოს და ეს ხმები წინასაარჩევნოდ სახელდახელოდ შექმნილმა „ქართული ოცნების“ რომელიმე განაყოფმა არ უნდა მიიღოს. მიუხედავად ამისა, ხვიჩია მათ წარმატებას უსურვებს და აცხადებს, რომ ბევრი ადამიანის გაერთიანების მომხრეა, რათა საბოლოოდ ბიულეტენზე „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“ და „გირჩი“ დარჩეს.

- თუ „ქოცი“ ხარ შინაგანად, მაშინ ბიძინას უნდა მისცე ხმა და მის პარტიას. ახლა სხვებმა შექმნან იგივე ლაიტმოტივის პარტია და იმას ხმა მისცე, ამას რა შინაარსი აქვს? შესაბამისად, ისეთი პარტია, რომელიც არც „ნაცია“, არც „ქოცი,“ მაგრამ მზად არის მოემსახუროს „პრონაც“, იმედგაცრუებულ ამომრჩეველს და „პროქოც“, იმედგაცრუებელ ამომრჩეველს, ვართ ჩვენ. ამისთვის ვმუშაობთ და ისინი არ მემეტება ისეთი პარტიებისთვის, რომლებიც წინასაარჩევნოდ სახელდახელოდ იქმნება იმისთვის, რომ „ქოცებმა“ ხმები არ დაკარგონ. „ქოცები“ იმსახურებენ იმას, რომ ხმები მართლა დაკარგონ და არა იმას, რომ მათ რომელიმე განაყოფს მიუვიდეს ხმები, - განაცხადა ხვიჩიამ.

„სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებით კი იაგო ხვიჩიას მოსაზრება ასეთია: - დავიწყებ იმით, რომ წარმატებას ვუსურვებ ჩემს კოლეგებს, მაგრამ ეს გაერთიანება მაგონებს „ძალა ერთობაშია 2“-ს. „ძალა ერთობაშია“ რამდენად წარმატებული იყო, ამაზე შეგვიძლია ვიკამათოთ. თუ თაკო ჩარკვიანის პარლამენტში შეყვანის მიზანი „ქართული ოცნების“ შეცვლა იყო, მაშინ არ იყო წარმატებული. თუმცა, „ძალა ერთობაშიასგან“ განსხვავებით, აქ უფრო ცოტა პარტიაა და უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ, ვიდრე ამბიციურად, - განაცხადა ხვიჩიამ.

მოამზადა
მარი მიდასელმა

მისთვის „არ გამომივა“ არ არსებობს

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებისთანავე, ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ფოტო წარწერით - „7 შვილის დედა და 2 შვილიშვილის ბებია მეგი თათეშვილი ეროვნულ გამოცდებს აბარებს“, - რამაც საზოგადოების აღფრთოვანება და დიდი ინტერესი გამოიწვია.

დედა, ბებია და ახლა აბიტურიენტიც, 45 წლის ასაკში ახალ ცხოვრებას იწყებს. 17 წლის იყო, როდესაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, თუმცა სწავლის გაგრძელება ვეღარ მოახერხა. დღეს ფიქრობს, რომ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ბრძოლა გვიანი არასდროს არის!

ქალბატონი მეგი ჩვენი სტუმარია და მისგან გავიგებთ, რას ნიშნავს 45 წლის ასაკში აბიტურიენტობა და რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ამ არჩევანის გამო

- მრავალი გამოწვევის მიუხედავად, მაინც გადავწყვიტე სტერეოტიპების მსხვრევა და ამ გზით ყველასთვის, მათ შორის, საკუთარი თავისთვის, იმის ჩვენება, რომ თუ მიზანს დაისახავ, ძალიან მოინდომებ, ასაკი საერთოდ არაფერს ნიშნავს. ყოველი შემთხვევისთვის, ჩემთვის არაფერს ნიშნავს ამ ასაკში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლა, რადგან განვლილი წლები შვილების აღზრდაში დავხარჯე და ახლა მივხვდი, რომ დრო მოვიდა, განვვითარდე და წინ წავიდე. ამიტომაც გადავწყიტე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ამ ასაკში მიღებული ჩემი ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის, ალბათ, უცნაურია.

- რატომ მოგიწიათ წლების წინ სწავლის მიტოვება?

- 1995 წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მალევე შევქმენი ოჯახი, მეუღლემ მითხრა, არ გამუშავებ ამ პროფესიით, მოდი, ოჯახს მივხედოთო და მეც დავთანხმდი, იოლად დავთმე. ახლა ძალიან ვნანობ. ამაზე გული ყოველთვის მწყდებოდა. ყოველთვის მაღიზიანებდა ის ფაქტი, რომ დავრჩი უდიპლომოდ, განათლების გარეშე! როცა გიყვარს ადამიანი, გინდა ისეთი იყო, როგორიც მას უნდა (ქალები აქ ძალიან ვცდებით), ადვილად ვმორჩილდებით მამაკაცს, უკან ვიხევთ. ჩვენს ოცნებებსა და მიზნებზე უარს ვამბობთ... ქალმა, პირველ რიგში, კარიერაზე უნდა იზრუნოს. ახლა კარიერის შემდეგ დავაყენებდი დანარჩენ ყველაფერს.

- როგორც ვიცი, ბაღში მუშაობთ, ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა და დამღლელიც, არა?

- 12 წელია, რაც ვმუშაობ საბავშვო ბაღში აღმზრდელის თანაშემწედ, საქმეს სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ვეკიდებით მეც და ჩემი თანამშრომლებიც. აქ მუშაობა მართლაც ძალიან საპასუხისმგებლოა. პასუხს აგებ ბავშვზე, მის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე. აქ შემოსვლის მომენტიდან, სანამ ეზოდან არ გავა, მაქსიმალურად უნდა ვიზრუნოთ ბავშვზე, მაგრამ არ ვიღლებით. ძალიან გვიყვარს პატარები. სრულად ვიხარჯებით. ბავშვებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას გვგვრის თითოეულ თანამშრომელს.

- რომელ ფაკულტეტზე აბარებთ?

- მომავალშიც განათლების სფეროში ვგეგმავ განვითარებას. ვაპირებ დაწყებითების ფაკულტეტზე ჩაბარებას, რადგან ეს ის მიმართულებაა, სადაც ვხედავ ჩემს თავს.

- რეპეტიტორებთან ემზადებოდით?

- ქართულ და უცხო ენებში თავად მოვემზადე, ისტორიის უკეთ შესწავლაში მეგობარი უსასყიდლოდ დამეხმარა. სწორედ ქართულის გამოცდაზეა გადაღებული ის ფოტო, რომელიც სოციალურ ქსელში გამოჩნდა და საზოგადოების დიდი ნაწილის აღფრთოვანებაც გამოიწვია.

- აუდიტორიაში რომ შეხვედით როგორი იყო აბიტურიენტების რეაქცია?

- ერთს უთქვამს, რომ შემოვიდა, დამსწრე მეგონა და თურმე აბიტურიენტი არ ყოფილაო (იცინის)! ხოლო მეორეს უპასუხია, ეგ ჩემი ძმაკაცის დედააო.

- ვისგან მიიღეთ გადამწყვეტი რჩევა, რომ ეროვნულ გამოცდებზე გასულიყავით?

- ჩემთვის მისაბაძმა, ძალიან კარგმა ქალბატონმა მითხრა, მოდი, სინჯე, მე მჯერა შენი, რომ ყველაფერი გამოგივაო. რეგისტრაციის ბოლო დღე იყო, დავუჯერე და მართლაც, დავრეგისტრირდი. აუცილებლად უნდა გადადგა ნაბიჯი, გამოგივა თუ არ გამოგივა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ისიც კი რაღაცას ნიშნავს, რომ ამ ნაბიჯს გადადგამ და იფიქრებ შენს მომავალზე, განვითარებაზე. ვფიქრობ, ეს აუცილებელია ქალისთვის, მით უმეტეს, იმ ქალისთვის, რომელსაც მეუღლე აღარ ჰყავს და ცხოვრებაში ყველა დაბრკოლებას მარტო გადის. ადამიანი თუ იხარჯები, ყოველთვის მიიღებ დადებით შედეგს, მაგრამ თუ არ დაიხარჯები, არ იზრუნებ განვითარებაზე, შედეგი საიდან იქნება?!

- რას ურჩევთ ქალებს?

- ქალებს მინდა ვუთხრა, რომ იყვნენ ძლიერები, იზრუნონ საკუთარი თავის განვითარებაზე. ნამდვილად ძლიერები ვართ, მაგრამ განვითარება გვჭირდება ყოველთვის! საკუთარი ოცნებები არასდროს დათმონ! ჩემთვის „არ გამომივა“ არ არსებობს! თუ რამეს შევეჭიდები, იქ ბოლომდე უნდა წავიდე, ისეთი შედეგი უნდა მივიღო, როგორიც ჩავიფიქრე! ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მომბაძონ ქალებმა, რომლებსაც ჩემნაირად მოუწიათ სწავლის მიტოვება ან საერთოდ არც უფიქრიათ თავის დროზე.

- რას გვეტყვით მეუღლეზე და თქვენს სიყვარულზე?

- 2017 წელს გავიგეთ, რომ მეუღლეს სიმსივნე ჰქონდა. ძალიან იმოქმედა ამ ფაქტმა მთელ ოჯახზე, ჩემზე, შვილებზე... მალე დაობლდნენ ჩემი ბავშვები, მე კი ახალგაზრდა დავქვრივდი. ვფიქრობ, სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის. სხვათა შორის, შვილებზე წინ ვაყენებდი, ძალიან მიყვარდა და ვაფასებდი. მარტო რომ დავრჩი, მეტად გავაანალიზე, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, ქალისთვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას, სწავლას, უმაღლესი განათლების მიღებას. ქალი უფრო მეტს ფიქრობს. ყოველდღიურად ეჭიდება სირთულეებს. ბრძოლა მარტო უწევს და ფიქრობს, რომ განათლებული, წარმატებული უფრო ადვილად შეძლებს პრობლემებთან გამკლავებას. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ერთი ასეთი შემთხვევა მომივიდა - ჩემმა 11 წლის შვილმა მარიამმა მითხრა, დედა, მოდი, შენ ჩემი ბებია იყავი და ჩემს უფროს შვილზე ნანიკოზე მეუბნება, ის დედა იქნება ჩემიო. იცით, რა დამემართა?! ესე იგი შვილს არ უნდა, რომ მე ვიყო მისი დედა, ძაძებით, მოუწესრიგებელი, მოტირალი, უმაკიაჟოდ! თითქოს მუქ თმაში უფრო კარგად გამოჩნდებოდა, ქმარს როგორ ვგლოვობ. ჩემი შვილის ამ სიტყვების შემდეგ თმაც მოვიწესრიგე, ჭარბწონიანი ვიყავი და დავიკელი, ვაკონტროლე კვება, დავიწყე ვარჯიში და 25 კგ მოვიშორე. წარსულს აღარ მინდა დავუბრუნდე! ვიფიქრე, რომ მინდა ვიყო ახალი, სხვანაირი, უნდა შევიცვალო! ისეთი უნდა გავხდე, რომ შვილს მოვეწონო, ჩემით იამაყოს, ვიყო სასურველი დედა. ჰოდა, მართლაც სხვანაირი გავხდი, რადიკალურად შევიცვალე. გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ვცდილობ, საკუთარი თავისთვის თავისუფალი დრო გამოვნახო და მუდმივად ფორმაში ვიყო, დიდ სიამოვნებას ვიღებ ვარჯიშით, როგორი დაღლილი და დატვირთულიც უნდა ვიყო, მაინც ვვარჯიშობ.

- დედისერთა ხართ, ამან ხომ არ განაპირობა თქვენი მრავალშვილიანობა?

- კი, დედისერთობის გამო მოკლებული ვარ დედმამიშვილის სიყვარულს, ამიტომ ყოველთვის ვამბობდი, რომ მრავალშვილიანი დედა ვიქნებოდი.

- აბიტურენტობასთან ერთად სხვა სიახლეც გაქვთ...

- ნამდვილად ასეა, ახლახან გავიგე, რომ ახალციხეში არის გვარდია, სადაც იღებენ რეზერვისტებად ქალებს. ძალიან მიზიდავს იარაღის დაშლა-აწყობა, იქ კი ამ ყველაფერს ასწავლიან, ფორმა გაცვია და ჩვეულებრივად მუშაობ. გადავწყვიტე შესვლა და აგვისტოში ფიცსაც დავდებ!

- გმირი დედა ხართ?

- კი, რატომაც არა, გმირი დედა ვარ და სამშობლოს თუ გამოადგება, ბრძოლის ველზე მეც გავალ! სანამ ცოცალი ვარ, ვიბრძოლებ ჩემი, ჩემი შვილებისა და ოჯახის ძლიერებისთვის, წინსვლისთვის, ხოლო იმიერში ჩემი მეუღლე მელოდება...

დაუღალავი შრომით, საკუთარი ოცნებებისადმი ერთგულებითა და დიდი პასუხისმგებლობით მეგიმ საკუთარ თავს და საზოგადოებას უკვე დაუმტკიცა, რომ ძლიერი ქალია. ახლა ქალებისთვის და არა მხოლოდ ქალებისთვის, მაგალითის მიცემაც შეუძლია.

> *ახლახან გავიგე, რომ ახალციხეში არის გვარდია, სადაც იღებენ რეზერვისტებად ქალებს. ძალიან მიზიდავს იარაღის დაშლა-აწყობა, იქ კი ამ ყველაფერს ასწავლიან, ფორმა გაცვია და ჩვეულებრივად მუშაობ. გადავწყვიტე შესვლა და აგვისტოში ფიცსაც დავდებ!*

უკრაინა

უკრაინელ სამხედროებსა და საოკუპაციო ძალებს შორის ბახმუტის მახლობლად მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს, - განაცხადა უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პრესსპიკერმა ანდრეი კოვალევმა. მისი თქმით, თავდაცვის ძალები აგრძელებენ შეტევით ოპერაციებს ქალაქ ბახმუტის ჩრდილოეთით და სამხრეთით. „ორეხოვოვასილევკა-პრასკოვეევკას, კლეშჩიევკა-ანდრეევკას მიმართულებებზე მძიმე ბრძოლები სიტუაციის შეუცვლელად გრძელდება“, - განაცხადა კოვალევმა. მისივე თქმით, მოწინააღმდეგე ძლიერ წინააღმდეგობას უწევს უკრაინელებს, იყენებს რეზერვებს, მაგრამ მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის.

* * *

აშშ-ის მიერ მიწოდებული კასეტური საბრძოლო მასალები განლაგებულია ბრძოლის ველზე და უკრაინელები მას ეფექტურად იყენებენ, - განაცხადა თეთრი სახლის სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ კირბიმ. „ჩვენ მივიღეთ გარკვეული საწყისი უკუკავშირი უკრაინელებისგან და ისინი საკმაოდ ეფექტურად იყენებენ მათ. კასეტური საბრძოლო მასალები გავლენას ახდენს რუსეთის თავდაცვით ფორმირებებზე და მანევრირებაზე“, - აღნიშნა მან. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ თუკი უკრაინა კასეტურ საბრძოლო მასალას გამოიყენებს, რუსეთი ადეკვატურად იმოქმედებს, თუმცა, გაეროს ცნობით, რუსეთმა უკრაინაში შეჭრის შემდეგ კასეტური საბრძოლო მასალა უკრაინის დასახლებულ რაიონებში არაერთხელ გამოიყენა. კასეტური ბომბები კანონით 120-ზე მეტ ქვეყანაშია აკრძალული, თუმცა ამ ქვეყნებს შორის უკრაინა, აშშ და რუსეთი არ არიან.

* * *

რუსეთმა ოდესაზე, მიკოლაივზე და სამხრეთის სხვა დასახლებებზე თავდასხმების დროს, მხოლოდ ბოლო 4 დღის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის თითქმის 70 რაკეტა და Shahed-ის 90 დრონი გამოიყენა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. „რა თქმა უნდა, ჩვენმა ჯარისკაცებმა მოახერხეს მტრის ზოგიერთი რაკეტისა და დრონის ჩამოგდება და ამისთვის მადლობას ვუხდი ჩვენი ცის თითოეულ დამცველს. სამწუხაროდ, უკრაინის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უკრაინის მთელი ცა დაიცვას“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, უკრაინა მუშაობს პარტნიორებთან საჰაერო თავდაცვის დამატებითი სისტემების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ოდესისა და ქვეყნის სხვა ქალაქების დაცვას.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა შავი ზღვის მარცვლეულის შეთანხმებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ გრძელდება მუშაობა მსოფლიოს მობილიზებისთვის სურსათის უსაფრთხოებისა და ნორმალური ცხოვრების დასაცავად. „მსოფლიოში არავინ არის დაინტერესებული სურსათის გლობალური ბაზრის განადგურებაში რუსეთის წარმატებით“, - თქვა ზელენსკიმ. ამასთან, მან მადლობა გადაუხადა ქვეყნებს, რომლებმაც რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები გაახანგრძლივეს. „რუსეთმა და მსოფლიოში ყველამ, ვინც გაბედავს ტერორისტების დახმარებას, უნდა იგრძნოს სანქციების მუდმივად მზარდი ზეწოლა, იქნება ეს ფიზიკური პირები, კომპანიები თუ ქვეყნები“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში მკაცრად გმობს უკრაინის შავი ზღვის პორტებზე რუსეთის თავდასხმებს და აცხადებს, რომ სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურება, შეიძლება, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას წარმოადგენდეს. როგორც გაეროს პრესსპიკერმა სტეფან დუჟარიკმა განაცხადა, ამ თავდასხმების გავლენა მნიშვნელოვნად სცდება უკრაინის ფარგლებს, რაც გამოიხატა ნეგატიურ ეფექტში ხორბლისა და სიმინდის გლობალურ ფასებზე. დუჟარიკის თქმით, გენერალური მდივანი ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა უზრუნველყოს უკრაინული და რუსული საკვებისა და სასუქების საერთაშორისო ბაზრებზე გატანა. რუსეთმა გაეროსა და თურქეთის შუამავლობით უკრაინასთან გაფორმებული შავი ზღვის მარცვლეულის შეთანხმება ორშაბათს დატოვა და რამდენიმე საათის შემდეგ უკრაინის პორტებზე თავდასხმა დაიწყო. შედეგად, 60 000 ტონა მარცვლეული განადგურდა და მარცვლეულის ექსპორტის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანდა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა განკარგულებას გაერთიანებულ სამეფოში უკრაინის ელჩ ვადიმ პრისტაიკოს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ზელენსკიმ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ვადიმ პრისტაიკომ მის სიტყვებს, რომ შეუძლია ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრ ბენ უოლესს სამხედრო დახმარებისთვის ყოველ დილით მადლობა გადაუხადოს, „არაჯანსაღი სარკაზმი“ უწოდა.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

ლია მახარაძე – მრავალმხრივი შემოქმედი, მეცნიერი და დედა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის კულტურის ცენტრის რეჟისორმა ლია მახარაძემ იმთავითვე დაიმკვიდრა უნარიანი ხელმძღვანელის, მრავალმხრივად ნიჭიერი, კარგი ადამიანისა და ხელოვანის სახელი

იგი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოს მკვიდრების - მერი ლორთქიფანიძისა და ხალიდ მახარაძის ნანატრი შვილია. „გავიზარდე მუსიკის მოყვარულთა ოჯახში. ბიძაჩემი - მამის ძმა გიტარაზე ოსტატურად უკრავდა, ფანდურზე კი მამიდები, რომლებიც შესანიშნავადაც მღეროდნენ, ამიტომ სიმღერის, ლექსისა და ფოლკლორის სიყვარული ბავშვობიდანვე შევითვისე“, - ამბობს ლია მახარაძე.

სკოლაში სწავლისას პოეზიაში მოსინჯა ძალები, მაგრამ ბოლომდე ვერ უერთგულა. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას დამწყებ მწერალთა წრის ხელნაწერ ალმანახ „მაჭახელას“ პასუხიმგებელი რედაქტორიც გახლდათ, რომელშიც რამდენიმე ლექსი, ჩანახატი და ნოველაც გამოაქვეყნა.

ინსტიტუტიდან 35 დღის განმავლობაში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ პრაქტიკაზე რაჭაში - ონის რაიონში ყოფნისას ზეპირსიტყვიერ ფოლკლორზე მუშაობის ფორმებს გაეცნო და შესანიშნავად გამოიყენა მომავალ საქმიანობაში. ლია ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფასდაუდებელ ამაგს, რომელიც მას ამ სფეროში დახელოვნებისთვის პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ დასდო.

გავუსწრებთ ბიოგრაფიულ ეპიზოდებს და უმთავრესზე გავამახვილებთ ყურადღებას, რამაც აღიარება მოუტანა ლია მახარაძეს: 2007 წლიდან ჯგუფთან ერთად დაიწყო ქედაში ეთნოგრაფიული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება. მასთან ერთად მუშაობდნენ ხარაულის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქეთევან საფარიძე და ქედის კულტურის ცენტრის სპეციალისტი ლეილა ბეჟანიძე. შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის და აქ მომუშავე მეცნიერების მეცადინეობით, ქართული ზეპირსიტყვიერების ეროვნული განძი - „აჭარული საუნჯის“ ტომები გამოვიდა. მესამე ტომი სწორედ ქედაში ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს მიეძღვნა, რომელთა ჩამწერები ლია და მისი მიმდევრები არიან.

ლია მრავალმხრივი შემოქმედია. ქედაში საერო და საღვთო დღესასწაულების რეჟისორი და წამყვანიცაა. პრინციპულობა და შეუვალობა ხელს უწყობს, რომ ნებისმიერი საქმე საუკეთესოდ შეასრულოს. ვერ იტანს ამპარტავნობას. სათქმელს ყოველთვის პირდაპირ და ამომწურავად ამბობს. წლების განმავლობაში არაერთი დიდი ღონისძიება გაუმართავს, მაგრამ განსაკუთრებულ პატივად მიიჩნევს ქედის კულტურის ცენტრისა და საბიბლიოთეკო განყოფილების 100 წლის იუბილეს რეჟისორობასა და გაძღოლას, რისთვისაც მთელი ცენტრი ემზადება.

ლია მახარაძემ 2014 წლის დეკემბერში, ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მიხედვით, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ინსცენირება „აჭარული ქორწილი“ დადგა, რომლითაც საქართველოს ფოლკლორის 2016 წლის ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობდა და საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა.

- დიდი სიამაყით გეტყვით, რომ ფესტივალში მონაწილეობით მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩავუყარეთ საფუძველი ახალ ნომინაცია-კრიტერიუმს - „კატეგორია შემკრებნი“. ამ კატეგორიით მივიღეთ მონაწილეობა 2022 წლის ეროვნულ ფესტივალში, გავიმარჯვეთ, რის წყალობითაც თბილისში ინსცენირების წარმოდგენის საშუალება მოგვეცა. მასში ასევე მონაწილეობდნენ ფოლკლორის დარგის მთავარი სპეციალისტი ლეილა ბეჟანიძე, ზუნდაგის, ზესოფლის, გეგელიძეების, დოლოგნის სასოფლო კლუბების ხელმძღვანელები და მახუნცეთის კულტურის დარგის სპეციალისტი, ასევე, ყველასათვის საყვარელი პოეტი და ხალხური მთქმელი გურამ არძენაძე. ჩვენთვის უდიდესი სტიმული და ოცნება იყო თუმანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე „დიდქართული აჭარულით“ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული ნიმუშების წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ჩვენს მუშაობას ფესტივალის დასკვნით დაჯილდოება-კონცერტზე ქალბატონმა ეთერ თათარაიძემ და ბატონმა ამირან არაბულმა, ამ დარგის შესანიშნავმა სპეციალისტებმა, მაღალი შეფასება მისცეს.

- მალე 80 წელს უკან მოვიტოვებ, - გვითხრა გურამ არძენაძემ, - ცხოვრების გზასავალზე მრავალ ადამიანთან მქონია შეხვედრა, ისინი ჩემი შემოქმედების პერსონაჟებიც გამხდარან. თუ უფალმა ინება და შესაძლებლობა მომეცა, ლიასაც ამაგს დავუფასებ. მანამდე კი თქვენი გაზეთით მადლობა მინდა გადავუხადო. მისი დაჟინება და თანადგომა რომ არა, შარშან ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი ვერ გავხდებოდი. ამ ჯილდომ კიდევ ერთი სასახელო ფურცელი შემატა ჩემს შემოქმედებას.

ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მოუწოდებდნენ ლიას პროფესორ-მასწავლებლები სამეცნიერო სარბიელზე ძალების მოსინჯვსკენ. მისი ოცნებაც ეს იყო, მაგრამ წინა საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ამ ოცნებას ფრთები შეაკვეცა.

ლია და მისი ჯგუფის წევრები ფოლკლორის მიმართულებით მუშაობას კვლავაც აგრძელებენ. ჩაწერილი აქვთ ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუში. ემზადებიან მორიგი ტომის გამოსაცემად.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2018 წელს რეჟისორ გია დიასამიძის დოკუმენტურ ფილმ „სახრვაში“ მოთხრობილია ქედაში ლიას ძალისხმევით ჩაწერილ საწესჩვეულებო რიტუალებსა და ტრადიციებზე.

ლიას ბიოგრაფია, მისი საქმიანობის ცალკეული ეპიზოდები სიღრმისეულ კავშირშია მის ოჯახთან, საზოგადოებასთან და მერისის ხეობის ოქტომბრის საშუალო სკოლის მეუღლე ზურაბ თურმანიძე სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსია. ის წლების განმავლობაში მუშაობდა ქედაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ლიას რამდენიმე მეგობარი ჰყავს, მათ შორის პირველ ადგილზე კი მეუღლეს აყენებს. ზურაბმა იცის, რომ ლიასთვის სამსახური ბევრს ნიშნავს, ამიტომ წლების განმავლობაში ერთხელაც არ უკითხავს ოჯახში დაგვიანების, მოუცლელობის მიზეზი. ღონისძიებისთვის მზადების პერიოდში ცდილობს, საქმეს არ მოსწყვიტოს. მასთან ერთად გაზარდა ორი ვაჟი - ზაზა და თენგიზი. ზაზა მეზღვაური, კაპიტნის მეორე თანაშემწეა. მისი მიზანი შორეული ნაოსნობის კაპიტნობაა და ამ მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის. თენგიზი ბათუმში ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობს.

„ჩვენთვის უდიდესი სტიმული და ოცნება იყო თუმანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე „დიდქართული აჭარულით“ შექმნილი ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული ნიმუშების წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ჩვენს მუშაობას ფესტივალის დასკვნით დაჯილდოება-კონცერტზე ქალბატონმა ეთერ თათარაიძემ და ბატონმა ამირან არაბულმა, ამ დარგის შესანიშნავმა სპეციალისტებმა, მაღალი შეფასება მისცეს

რეჟისორი, დეკლამატორი, იუმორით დაჯილდოებული ლია მახარაძე დიდად ემადლიერება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.

- სწორედ კარგ პედაგოგს შეუძლია მოსწავლეს ყველაზე ძნელად შესასწავლი მასალაც შეაყვაროს, კარგი ორატორობისკენ უბიძგოს. მეშვიდე კლასში ვიყავი (დავამთავრე ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის საშუალო სკოლა), როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა რუსუდან ბოგვერაძემ აგვიხსნა ხალხური „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, რომელიც რაღაცნაირი, განსხვავებული ინტონაციით წაგვიკითხა. ჩვენ გაოცებული შევცქეროდით, მან კი გვითხრა: იცოდეთ, ბავშვებო, არ შეიძლება სასაცილო და სატირალი ადამიანმა ერთნაირად წაიკითხოსო. აქედან დაიწყო ჩემი დეკლამატორობაც, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგივა, თუ მასალას სულითა და გულით გაითავისებ, რეჟისორობა კი ჩემს ფილოლოგობასა და წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულზეა დაფუძნებული. წარმოდგენებს ბავშვობიდანვე ვმართავდი. ექვსი დაძმიდან ყველაზე უფროსი ვარ. დედა მათ მე მიტოვებდა ხოლმე და თან მავალებდა, რომ გამერთო ისინი. მეც ხან ოჯახის დედა ვიყავი, ხან მასწავლებელი. კარგად ვმღეროდი და ვცეკვავდი, ამიტომაც მალე ისწავლეს პაწიებმა მთელი ჩემი რეპერტუარი. ეს მიდრეკილება შემდგომ წლებში კიდევ უფრო გამდიდრდა, ყველაზე მეტად კი კულტურის ცენტრში მუშაობამ დახვეწა. ვთვლი, რომ ამ საქმეში გამბედაობა მეხმარება. ცოტა გენეტიკა, დაუღალავი შრომა, გამოცდილება და წიგნიერებაა რეჟისორობის საიდუმლო. შინაგანად დღესაც ვარ პედაგოგი. ამას ვერაფერი შემაცვლევინებს. 2019 წელს წარმატებით ჩავაბარე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. იმავე წელს გავიარე 60-კრედიტიანი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ხიჭაურის უნივერსიტეტში და მომენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა ჯერჯერობით ამ სტატუსით არ ვმუშაობ, - გვითხრა ლიამ.

მის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ბაბუა ემინმა, რომელიც 107 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ნამდვილად სიკეთის განსახიერება ყოფილა, მზრუნველი, 13 შვილის მამა. შთამომავლობას მან ასწავლა ერთმანეთის გატანა, თანადგომა, შრომის სიყვარული, მოთმინება. მისგან ხმამაღალი შენიშვნა არ ახსოვს. სკოლაში წასვლის წინ ხურდებს ჩამოურიგებდა შვილიშვილებს. ასწავლიდა ნედლი თხმელის ხისგან სალამურის გამოთლას, დიდგულასაგან ნემსის შესანახი ყუთების დამზადებას, ქოლგის ჩხირებისაგან წინდის ჩხირების გაკეთებას, მოყვასის სიყვარულსა და მოფერებას. სხვათა შორის, მან პირველმა შენიშნა ლიას ხატვის, ლექსის წერის ნიჭი და უნიკალური მახსოვრობა. ის 1871 წელს ყოფილა დაბადებული და მომსწრე იყო რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომისა, მუჰაჯირობისა.

მერისელების რძლობას ლია დიდ პატივად მიიჩნევს. ამ ხეობაში განსაკუთრებულად იციან სტუმრის პატივისცემა და მოლხენა. თავადაც მიზეზს ეძებენ სასიმღეროდ, სტუმარი კი ამის საშუალებას აძლევთ. მათ ცხოვრებაში სიმღერას უდიდესი ადგილი უჭირავს. ესაა მათი სიხარულისა და ჭირის თანმდევი. აქაურები მხოლოდ კი არ მღერიან, შეიძლება ითქვას, რომ თავადაც ერთი გრძელი, ათასჭირგამოვლილი სიმღერა არიან. ცეკვა, სიმღერა, შაირობა თაობიდან თაობას გადაეცემა. შარაძეები, თურმანიძეები, ბარამიძეები, ლამპარაძეები, საკანდელიძეები, ჯიჯავაძეები მომღერალი ოჯახების გვარებია. ლიას ქორწილში „მერისულ მაყრულს“ მთელი სოფელი მღეროდა.

ამჟამად ლია სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს. წარმატებები ვუსურვოთ ამ ღირსეულ პიროვნებას, შესანიშნავ ხელოვანს, მეცნიერს, ქალსა და დედას.

ბათუმის ბიუჯეტი 23 200 000 ლარით გაიზარდა

პირველი გვერდიდან

ბიუჯეტის ცვლილების პროექტი დეპუტატებს მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ედნარ ნატარიძემ გააცნო. როგორც მან აღნიშნა, ნამატი თანხის ძირითადი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდება. სოლიდური თანხებია გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური განათლების, ასევე, კულტურისა და სპორტის მიმართულებითაც.

- ცვლილებების თანახმად, ფინანსური რესურსების 90 პროცენტზე მეტი ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდება. გათვალისწინებულია ქალაქის 12 ქუჩისა და წყლის სისტემების რეაბილიტაცია. მხედველობაში მაქვს მახინჯაურისა და გონიოს მიმდებარე ტერიტორიებზე წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია, ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამაში დაემატა ლიფტების რეაბილიტაცია-განახლების პროგრამა, ჯამში, ამ ცვლილებით 60 ახალ მისამართზე ჩატარდება სამუშაოები. იგეგმება პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. დიდი ყურადღება დაეთმობა გამწვანების სამუშაოებს. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ერთი საბავშვო ბაღის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოებიც, რაც მომავალ წელს დასრულდება. გაიზარდა სპორტული კლუბების დაფინანსება. გარკვეული ფინანსური რესურსი მოხმარდება ჯანდაცვის სფეროს პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, კერძოდ, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის დამატებითი გაკვეთილების დაფინანსებას, ასევე, სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ბენეფიციარებს საკუროორტო-სარეაბილიტაციო პროგრამით სარგებლობის უფლება მიეცემათ. უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების სტომატოლოგიური მომსახურებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსი გამოიყო, რაც მართლაც დიდი შეღავათია მათთვის. ნამატი 23 200 000 ლარი აისახება მიმდინარე წლის ბიუჯეტში, - განაცხადა ედნარ ნატარიძემ.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა, რის შემდეგაც 6 ავტობუსი ქობულეთის მუნიციპალიტეტს გადაეცემა. დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა განსაზღვრეს და დაამტკიცეს.

საკრებულომ დეპუტატ ლაშა კილაბერიას ვადაზე ადრე უფლებამოსილება შეუწყვიტა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ბათუმში, ინასარიძის ქ. №59 საცხოვრებელ სახლზე ბათუმის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელ თეიმურაზ (ტუხა) ტუღუშის მემორიალური დაფა განთავსდება.

საკრებულოს დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ 7 საკითხზე იმსჯელეს და დაამტკიცეს.

ЮНИСТРИМ დასანქცირებულია

რუსული ბანკი Юнистрим, რომელიც რუსეთიდან საქართველოში ფულის გადმოსარიცხად გამოიყენებოდა, ამერიკული სანქციების ქვეშ მოექცა. ამჟამად მისი მეშვეობით საქართველოში თანხის გამოგზავნა შეუძლებელია.

როგორც გამოცემა Ekhokavkaza წერს, შარშანდელი მონაცემებით, Юнистрим-ის საშუალებით რუსეთიდან საქართველოში 111 მილიონი დოლარი გადმოირიცხა.

Юнистрим -ის გამოყენება უკვე ყველა ქართულმა ბანკმა შეზღუდა.

ამირან გურიელიძე

რუსეთი ყველა გემს შეამოწმებს?

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი ვერშინინის თქმით, რუსეთი შავი ზღვის აკვატორიაში მიმავალ ყველა გემს განიხილავს, როგორც სამხედრო ტვირთის მქონეს. „უნდა დავრწმუნდეთ, რომ გემს რამე ცუდი არ გადააქვს. ეს ნიშნავს მოთხოვნას, საჭიროების შემთხვევაში - შემოწმებას“, - განაცხადა ვერშინინმა.

შეგახსენებთ: რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ამა წლის 20 ივლისის (მოსკოვის დროით) 00:00 საათიდან შავ ზღვაზე უკრაინის პორტებისკენ მიმავალი ყველა გემი განიხილება, როგორც სამხედრო ტვირთის პოტენციური გადამზიდავი, ის სახელმწიფოები კი, რომელთა დროშის ქვეშაც ასეთი გემები იმოძრავებენ, ჩაითვლებიან უკრაინის კონფლიქტში კიევის რეჟიმის მხარეს ჩართულ სახელმწიფოებად.

ამირან გურიელიძე

დრო უკეთ ხატავს...

ბატონ ტარიელ ხალვაშის ხსოვნას

ვაუკაცი იყავ, ახსოვხარ ქალაქს,
დრო უკეთ აჩენს ღვაწლსა და ამაგს...
ლეთეს ნაპირთან შეგხვდება,
ძმაო,
ძვირფასი დედა, რაინდი მამა.
„მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს“,
დალაშქრული გაქვს შენი ლაშარი...
აჰა, დაიძრა შესაგებებლად,
წმინდა გიორგის დიდი ლაშქარი.
მადლობა დედას, ვინც ტარიელი
გიწოდა - გახსნა შოთას ეტრატი...
„მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს“,
მიდიხარ, რეკავს ზარი პეტრასი.
მიგყვება ცრემლი დის და შვილების,
რით ვანუგეშოთ, ვერ გამიგია...
ცის ქვეშ შთენილნი ვერაფერს შევცვლით,
ზეცის მეუფეს სხვა განრიგი აქვს.
ერის წინაშე ვალმოხდილი ხარ,
დალაშქრული გაქვს შენი ლაშარი.
შეგეგებება ციურ გუმბათთან,
წმინდა გიორგის დიდი ლაშქარი.

ცისანა ანთაძე

ხსოვნა

გურამ უსტიაშვილი

რთულია ილაპარაკო წარსულში იმ ადამიანზე, რომელიც იყო ღირსეული შვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა, ნიჭიერი პედაგოგი, გემოვნებით, ინტელექტით, სიყვარულითა და იუმორით გამორჩეული. დასანანია, რომ ახლა ჩვენ მეგობარზე წარსულში ვსაუბრობთ, ამასთან, ბედნიერებაა, გაიხსენო მისი ღვაწლი და თქვა, რომ იმქვეყნიურ სასუფეველში ადგილს იკავებს ღირსეული ქართველი, ვალმოხდილი ოჯახის, ახლობლების, სამეგობროს, მეზობლებისა და სამშობლოს წინაშე.

გურამ უსტიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა დიდი ქართველისა და მამულიშვილის მიერ განვლილი გზაა. იგი შუახევის რაიონის სოფელ ჯაბნიძეებში დაიბადა 1945 წელს, მეზობელ სოფელ უჩამბაში მიიღო საშუალო განათლება, 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

სტუდენტობის პერიოდში გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, ხელმძღვანელობდა სტუდენტურ სამეცნიერო საბჭოს, მონაწილეობდა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა და ასპირანტთა მონაწილეობით გამართულ ტრადიციულ სამეცნიერო კონფერენციებში, სამშენებლო რაზმებში, საიდანაც ყოველთვის საპატიო სიგელებით, დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა მშობლიურ სასწავლებელში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონის სოფლების - ფურტიოს, ჯაბნიძეების, ლომანაურის, წყაროთის და ხიჭაურის სამხედრო ნაწილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად, შუახევის ბავშვთა და მოზარდთა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ხოლო 1980 წლიდან მის დირექტორად, პარალელურად ხელმძღვანელობდა რაიონის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას.

1983 წლიდან გადაიყვანეს აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგედ. მას დიდად აფასებდნენ, როგორც პროფესიონალიზმითა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალი კულტურით გამორჩეულ პიროვნებას. ბატონი გურამი უშურველად უწვდიდა დახმარების ხელს აჭარაგურიის რეგიონებში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებს. იღვაწა იმისათვის, რომ ახალგაზრდობისათვის წიგნის სიყვარულთან ერთად, ზნეობის ანბანიც ესწავლებინა, უფროსებისადმი პატივისცემა, ქვეყნის, მშობლიური მხარის სიყვარული ჩაენერგა. პირადად ბატონი გურამი აქტიურად იყო ჩაბმული შიდასასკოლო და რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვებში, სადაც მეტწილად მაღალ შეფასებებს იმსახურებდა. ბატონი გურამის აქტიური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. 2006 წლიდან იგი გადაჰყავთ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკურ საბჭოში საორგანიზაციო მუშაობის დეპარტამენტის უფროსად. ბატონი გურამი ყოველთვის ნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის კანონიერი უფლებების და ინტერესების დამცველი, შუამავალი და პრინციპული პროფკავშირული ლიდერი, მაღალი დონის ხელმძღვანელი. პედაგოგიურ სარბიელზე თვალსაჩინო დამსახურებისათვის გურამ უსტიაშვილი დაჯილდოებული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, „საქართველოს სახალხო განათლების წარჩინების“ სამკერდე ნიშნით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დიპლომით, სპმთპ-ისა და აჭარის რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელებით.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პიროვნება, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის სამსახურს შეალია, მისი საქმე სამაგალითოა მომავალი თაობისთვის. სამწუხაროა, რომ ამიერიდან ბატონი გურამის მართალი სიტყვა და სიყვარული დაგვაკლდება.

შევთხოვთ უფალს, მისი სპეტაკი სული იქ დაავანოს, სადაც მართალნი განისვენებენ. გურამ უსტიაშვილის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

სპმთპ-ის აჭარის რესპუბლიკური საბჭო,

სპმთპ-ის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონული საბჭოები,

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფგაერთიანება

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში დასაქმებულთა აჭარის დამოუკიდებელი დარგობრივი პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შუახევის რესურსცენტრის, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირების, შუახევის რაიონული საბჭოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გურამ დურსუნის ძე
უსტიაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლევან ნატარიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
გურამ დურსუნის ძე
უსტიაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცისანა ანთაძე, მარინა მითაიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ტარიელ ხალვაში
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/07/23, 21 05 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გია ბაღაშვილის შემოქმედებითი საღამო - ბათუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მუსიკოსმა, მეცნიერმა, არტისტმა, ფოლკლორისტმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გია ბაღაშვილმა ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ შემოქმედებით საღამოზე თითქმის ოცდაათწლიანი საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობა შეაჯამა

დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (მუსმცოდნეობა, ფოლკლორის განხრით). 1990 წელს დააარსა ფოლკლორული ჯგუფი „მიმინო“, ხუთი წლის შემდეგ დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა. 2006 წელს მუსიკალური ჯგუფი „ქუჩის მუსიკოსები“ ჩამოაყალიბა... მისი თაოსნობით მრავალი შემოქმედებითი საღამო, კონცერტი, სხვადასხვა ჟანრის საერთაშორისო ფესტივალია ჩატარებული, ტელეპროექტების ავტორიცაა, გასტროლით არაერთ ქვეყანაში იყო, მათ შორის, აშშ-ში, გერმანიაში, მალტაში... მეგრული სიმღერების პოპურის შექმნისთვის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ძალიან პოპულარულია მისი სატელევიზიო გადაცემა „ჩვენი შოუ“. ყოველწლიურად მამა-შვილი ბაღაშვილები „იუმორინას“ სთავაზობენ მაყურებელს, რაც ყოველთვის დაგეგმილზე მეტ დღეს გრძელდება, რადგან მაყურებლის დიდი მოწონებით სარგებლობს. სხვათა შორის, თავის დროზე სპორტშიც აქტიურად იყო ჩართული, კარატეში შავი ქამრის მფლობელია. ხელოვნების ცენტრში გამართული სოლო-საღამოს წამყვანიც და შემსრულებელიც თავად გია ბაღაშვილი გახლდათ.

მან შეხვედრის დასაწყისიდანვე მადლიერებით მოიხსენია მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მუსცენტრის ხელმძღვანელობა (დირექტორი - გიორგი მიქელაძე), საღამოზე მრავლად მობრძანებულ მაყურებელს მადლობა გადაუხადა არა მხოლოდ იმ საღამოსთვის, არამედ წლების განმავლობაში მისდამი გაცემული სითბოსა და სიყვარულისთვის. თავიდანვე გულთბილად გაიხსენა გივი ბერიკაშვილი, ქართული ესტრადის ვარსკვლავი თემურ წიკლაური, მათ ხსოვნას სიმღერა მიუძღვნა. გვითხრა, რომ მის მოკრძალებულ შემოქმედებაში სამი მიმართულებაა წარმოდგენილი და სამივე მუსიკასთანაა დაკავშირებული. ერთია საესტრადო, მეორე - მუსიკალური ფოლკლორი, სადაც საქმიანობს როგორც მეცნიერი და საინტერესოდ წარადგენს უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში და მესამეც - „იუმორინა“ და „ჩვენი შოუ“. მან სამივე მიმართულება სრულად წარმოადგინა, თუმცა დაიწყო ანეკდოტებით, რამაც გულიანად გაახალისა დარბაზი. აღნიშნა, რომ მამის მხრიდან კახელია, დედის - გურული და ცხოვრებაში ორივე მხრიდან საუკეთესო თვისებები გამოიყენა. ბედნიერია, რომ მათზე ყველა ამბობს: „მამა-შვილი - ბაღაშვილი“ და ცალ-ცალკე სახელებით არ მოიხსენიებენ.

როგორც მან თქვა, მამამ ჩამოაყალიბა არა უბრალოდ მიმდინარეობა, არამედ შექმნა გიტარაზე დაკვრის ისეთი სტილი, რომელიც მანამდე ჩვენთან არ არსებობდა. ბატონმა გიამ ჯერ ბაღაშვილების გამორჩეული სტილის ფორმირება გვიჩვენა და შემდეგ დაუკრა კიდეც შესანიშნავდ. ჩამოთვალა და გაიხსენა საქართველოსთვის უძვირფასესი ადამიანები, რომლებისგანაც სწავლობდა ზრდილობას, ურთიერთობას, პროფესიონალიზმს, მაყურებლის მიმართ პატივისცემას, რის გარეშეც ადამიანური ცხოვრება არ არსებობს. სიამაყით აღნიშნა, რომ 20 წლის ბიჭს კორიფეებმა მუსიკალური ხელმძღვანელობა ანდეს. გვიამბო, როგორ დაწერა მამა-შვილმა (მამამ - მუსიკა, მან - ტექსტი) სიმღერა ბათუმის „დინამოზე“, რომლის მისამღერი გულშემატკივრების - „შავი ზღვის პირატებისთვისაა“ განკუთვნილი. ამქვეყნიდან წასულ ბევრ ადამიანს, მათ შორის ჰამლეტ გონაშვილსაც მოეფერა, რომელსაც ძალიან ჰყვარებია თურმე გიტარაზე დაკვრა და გიასთვის შეუთავაზებია, შენ გიტარაზე დაკვრა მასწავლე, მე კი ისეთ კახურ სიმღერებს გასწავლი, მამაშენს საერთოდ რომ არ გაუგონიაო. „მართლაც მასწავლა და სამეცნიერო საქმიანობად ფოლკლორი რომ ავირჩიე, მისი დამსახურებაცაა“, - აღნიშნა გიამ.

რა თქმა უნდა, უდიდესი სიყვარულით მოიგონა ანსამბლი „ივერია“ და მისი ხელმძღვანელი, გამოჩენილი კომპოზიტორი ალექსანდრე ბასილაია, რომელიც მისი საამაყო ნათლია იყო. მან 19 წლის ბიჭს მიანდო მისი ნაწარმოების დაკვრა ფართო აუდიტორიის წინაშე. სიყვარულითა და სითბოთი გაიხსენა ოთარ რამიშვილი, ასევე სახალისო ამბები - გასტროლებიდან. მერე ფორტეპიანოს მიუჯდა, რომელზეც ასევე შესანიშნავად უკრავს და დაკვრის ნიუანსებზეც გვესაუბრა, რომელსაც მსმენელი ვერ ამჩნევს, მაგრამ სიმღერისთვის მნიშვნელოვანია. შემდეგ სცენაზე სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ მოიწვია, რომელთან ერთადაც რამდენიმე სიმღერა შემოგვთავაზა, მათ შორის „სიმღერა ბათუმზე“, „ხასანბეგურა“, „ჩაკრულო“...

- დაუვიწყარი დღეა ჩემთვის. ბათუმში ჩატარებული ყველა კონცერტი პატარაობიდან მახსოვს, როცა ჯერ კიდევ ანსამბლ „ივერიის“ შვილობილი ვიყავი და კულისებიდან ვადევნებდი თვალს. მახსოვს ემოციები „იუმორინაზე“ „ქუჩის მუსიკოსების“ გამოსვლაზე, მაგრა დღეს იმხელა სითბო მივიღე მაყურებლისგან, არასოდეს დამავიწყდება, ეს ორი საათი ჩემთვის, როგორც 15 წუთი, ისე გავიდა, მადლობა ყველას, ვინც მოახერხა მოსვლა. დღევანდელი კონცერტი ჩემთვის განსაკუთრებული იყო, - გვითხრა გია ბაღაშვილმა.

- ის ძალიან მრავალმხრივი, ნიჭიერი ხელოვანია, სპორტსმენიც იყო... ერთ ადამიანში ბევრი შესაძლებლობაა გაერთიანებული, რომლის შედეგიც სცენაზე ვნახეთ. ზოგი ბავშვობაში დავბრუნდით, ზოგმა თანამედროვეობით ვიამაყეთ, რომ ჩვენ გვერდით კიდევ არიან ისეთი ხელოვანები, როგორიც არის გია ბაღაშვილი, როგორებიც არიან ანსამბლ „ბათუმის“ მომღერლები. საზოგადოებამ უნდა ისიამოვნოს მათი ხელოვნებით, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

- გია შესანიშნავი ლოტბარი, კარგი მამის შვილი, კარგი თბილისელი, უნიჭიერესი ადამიანია. ბედნიერები ვართ, რომ დღეს ერთად ვიდექით სცენაზე, ეს სასიამოვნო იყო როგორც ჩვენთვის, ისე მაყურებლისთვის, - თქვა ლოტბარმა თემურ დოლიძემ.

გია ბაღაშვილი ქედელ და ხელვაჩაურელ მაყურებლებსაც შეხვდება. მას უკვე ჰქონდა შემოქმედებითი საღამოები გურიაში, რაჭასა და სამეგრელოში.

„ზე-კართან“ ლიტერატურის მოყვარულებს ხულოში, ქედასა და შუახევში უმასპინძლებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

4-6 სექტემბერს საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ მეთერთმეტედ შექმნის დაუვიწყარი დღეების ისტორიას მაღალმთიან აჭარაში. შუახევი, ქედა და ხულო იქნება იმ ადამიანების მასპინძელი, რომლებიც ახალი შთაგონებით, ახალ შემოქმედებით სიახლეებს შესთავაზებენ საზოგადოებას

ფესტივალის დამფუძნებლის, რეჟისორ ვახტანგ ბერიძის ინფორმაციით, წლევანდელ ფესტივალში 25 ავტორი მკითხველის წინაშე ლიტერატურული დისკუსიების, ლექციებისა თუ საჯარო კითხვის ფორმატში წარსდგება. ფესტივალს, რომლის მთავარი თემა თავისუფლებაა, წელს უკრაინელი და თურქი მონაწილეები შეუერთდებიან. ლიტერატურული პროგრამის პარალელურად, მოეწყობა წიგნების, რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, ფოტოხელოვან დინა ოგანოვას ფოტოგამოფენა, თბილისის ქალთა გუნდის, ასევე ფოლკლორული კონცერტი, რეჟისორ ზაზა ხალვაშის ფილმის „ნამე“ ჩვენება. როგორც ვახტანგ ბერიძემ აღნიშნა, ლიტერატურის მოყვარულებს წინ საინტერესო და შთამბეჭდავი სამი დღე ელოდებათ.

- მეთერთმეტე წელია, აჭარის მთიან მუნიციპალიტეტებში საერთაშორისო ფესტივალი „ზე-კართან“ უწყვეტად ტარდება, რაც ჩემთვის, როგორც ფესტივალის დამფუძნებლისა და დირექტორისთვის, სასიხარულოა. ყოველწლიურად ვცდილობ, ჩვენი ღონისძიებები იყოს მრავალფეროვანი, საინტერესო, ისეთი, რომ იქ მყოფ ადამიანებს გაუჩნდეთ ფესტივალში ჩართვის, დასწრების სურვილი. პირველ რიგში, ეს ხომ მთაში მცხოვრები ადამიანებისთვის ტარდება. თუ გადავხედავთ საქართველოში კულტურულ აქტივობებს, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენი ფესტივალი გამონაკლისთა ნუსხაშიც მოხვდება, იმ ღონისძიებებს შორის, რომელიც დიდი ქალაქების მიღმა, მთიან მუნიციპალიტეტებში ტარდება. ჩემთვის, როგორც მთიელისთვის ორმაგად ემოციური და ამაღელვებელია ის ფაქტი, რომ ფესტივალის ათი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ჩვენდამი მოძღვნილი ლექსი, ნოველა, მოთხრობა, პიესა დაიწერა, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა პოზიტიური ტექსტები. ჩემთვის ეს ძალიან ემოციურია, რადგან ასახავს იმ სივრცისა და დროის მოვლენებს, რომელშიც მეც ვცხოვრობ, სადაც მიხარია სიცოცხლე. ფესტივალის მნიშვნელობა შემოქმედებითი თვალსაზრისითაა დასაფასებელი, რადგან 11 წელია, იგი ღირებულებების, ფასეულობების ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. ყოველ წელს ფესტივალს აქვს განსაზღვრული ძირითადი თემა, რაზეც ვმსჯელობთ, რის ირგვლივაც ვაწყობთ პროგრამას. წელს ჩვენი თემა თავისუფლებაა, რაც ერთ-ერთი უპირველესია ადამიანის არსებობისთვის. ფესტივალის მამოტივირებელი ძალა, რა თქმა უნდა, ადამიანების სიყვარულია, ის ყურადღება და პატივისცემა, რომელიც მოდის როგორც ფესტივალის ორგანიზატორის, ასევე, მთლიანად ფესტივალის, მისი შინაარსის და იდეის მიმართ. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის მხარდაჭერაა, რომელსაც წლების განმავლობაში სახელმწიფო, ამ შემთხვევაში, აჭარის მთავრობა, კულტურის სამინისტრო იჩენენ. ბოლო ათი წლის განმავლობაში აჭარაში არაერთი ფესტივალი დაარსდა, ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი კულტურის პოლიტიკის თვალსაზრისით. აჭარა ამ მიმართულებით, საქართველოში ნამდვილად გამორჩეული კუთხეა, აქ არის იმის შესაძლებლობები, რომ გააკეთო, რაც გინდა... მინდა, მადლობა გადავუხადო მედიასაშუალებებს, რომელთა როლი ფესტივალისადმი ცნობიერების გაზრდაში უმნიშვნელოვანესია. მოკლედ, დიდი ენერგიით, პოზიტიური განწყობით ვხვდები იმ „ცხელ“ დღეებს, რომელიც ლიტერატურის მოყვარულებს 4-5-6 სექტემბერს ელოდება, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

მე-11 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ მონაწილეები იქნებიან: გურამ ოდიშარია, ანა კორძაია-სამადაშვილი, ნესტან ნენე კვინიკაძე, დათო გორგილაძე, გიორგი კეკელიძე, ბელა ქებურია, დათო ტურაშვილი, მარინა თექთუმანიძე, გვანცა ჯობავა, ზვიად კვარაცხელია, ეკა ტოგონიძე, მაკა ლდოკონენი, ნატალია ტროხიმი, ჰარუნ ჩიმქე, დინა ოგანოვა, თამუნა გეგეშიძე, მარი კორინთელი, როინ აბუსერიძე, სულხან წულუკიძე, ნანა აკობიძე, ესმა მანია, ნინია ნადირაძე, ნინო სამყურაშვილი, ნინო მოდრეკილაძე, გიო ზედგაკელი.

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსის“ გამარჯვებულია, ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერია, ასევე, შუახევის კულტურის ცენტრი.

ცნობისთვის: ფესტივალი „ზე-კართან“, რომელიც 2013 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში რეჟისორ ვახტანგ ბერიძის იდეითა და ორგანიზებით დაფუძნდა, 4 სექტემბერს შუახევში გაიხსნება და 6 სექტემბერს ხულოში დაიხურება.